

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი (აპლიკანტი), ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა
ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 22 ოქტომბერი, 2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 17 დეკემბერი, 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი (აპლიკანტი) ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა ტექნიკურ უნივერსიტეტთან - სახელმწიფო ინსტიტუტი (Körperschaft öffentlichen Rechts)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	კავკასიის უნივერსიტეტი - 205050567 (ვილდაუ ტექნიკური უნივერსიტეტი - DE 138 549 391)
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი
დეტალური სფერო და კოდი	0719: ინჟინერია და საინჟინრო სპეციალობები, სხვაგან არსად კლასიფიცირდება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	არ ეხება
სწავლების ენა	ინგლისური

¹ ერთობლივი პროგრამის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. თუ ერთობლივი პროგრამა ხორციელდება უცხოურ უსდ-სთან თანამშრომლობით, საიდენტიფიკაციო კოდისა და ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმის მითითება სავალდებულო არაა.

² თუ პროგრამა ხორციელდება უცხოურ უსდ-სთან თანამშრომლობით და პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავებულია, მაშინ მიეთითება შესაბამისი უნივერსიტეტის კვალიფიკაცია.

ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობითად აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი, დოქტორი რუდიგერ ლოჰმანი, ლიუბეკის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მზევარ გოგილავა, თბილისის მერიის ტრანსპორტის სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ბაქარ დუაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

განსახილველი პროგრამა ახლადჩამოყალიბებულია და შპს კავკასიის უნივერსიტეტი წარმოადგენს აკრედიტაციის აპლიკანტს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, თუმცა ეს არის ერთობლივი პროგრამა კავკასიის უნივერსიტეტსა და გერმანიის TH Wildau-ს შორის. თანამშრომლობის ხელშეკრულება წარედგინა NCEQE-ს შეფასების პროცედურების დაწყებამდე. პროგრამა შემუშავდა იმის გამო, რომ ორივე პარტნიორმა (კავკასიის უნივერსიტეტმა და ვილდაუს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა) აღაჩინა, რომ ქართულ ინდუსტრიაში საჭირო იყო ლოგისტიკის სპეციალიზაციის კურსდამთავრებულები. შედეგად, მათ შეიმუშავეს ეს პროგრამა, რომელიც გამოუშვებს „საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრებს“.

სამაგისტრო პროგრამა 4 სემესტრის და 120 კრედიტისგან შედგება, იგი ისწავლება ინგლისურ ენაზე, ორივე უნივერსიტეტის პროფესორების მიერ. პირველი სამი სემესტრის განმავლობაში,

სტუდენტები დაესწრებიან ინჟინერიის, IT და მენეჯმენტის კლასებს. მეოთხე სემესტრის დროს, სტუდენტები დაწერენ სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომის ნაწილის გაკეთება შესაძლებელია გერმანულ კომპანიებში. პროგრამის დასკვნით საფეხურს წარმოადგენს, ნაშრომის ზეპირი დაცვა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

გლობალური პანდემიის გამო, შეფასების პროცესი ონლაინ რეჟიმში განხორციელდა. თუმცა ორივე უნივერსიტეტმა ასევე უზრუნველყო ვიდეო-მასალები ადგილიდან, ამას დაემატა გასაუბრებები ორივე უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონოდათ გასაუბრებისთვის მომზადების შესაძლებლობა, პროგრამის დეტალური აღწერილობა წინასწარ წარადგინეს კავკასიის უნივერსიტეტმა და TH Widau-მ. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა გასაუბრებოდნენ სხვადასხვა ჯგუფებს, მათ შორის უნივერსიტეტების სხვადასხვა ფილიალების ხელმძღვანელებსა თუ პროფესორებს, პარტნიორებს, ასევე მოქმედ და ყოფილ სტუდენტებს.

გასაუბრების გარდა, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ ორივე უნივერსიტეტის შენობის ვირტუალურ ვიზიტში და შექმნოდათ არსებული პირობების აღქმის საშუალება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა.**

სტანდარტები 1 და 2 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან, სტანდარტები 3-5 სრულად შესაბამისობაშია; ექსპერტთა ჯგუფმა გასცა 6 რეკომენდაცია და 4 რჩევა; შეფასების დროს გამოვლინდა 1 საუკეთესო პრაქტიკა,

- **რეკომენდაციები**

- პროგრამა შემუშავებულია გერმანიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტილში, რომელიც პრაქტიკაში გამოყენებაზეა ორიენტირებული. თუმცა, ქართული სტანდარტები კვლევაზე ორიენტირებას მოითხოვს. აუცილებელია, რომ ეს ხარვეზი სათანადოდ შეივსოს (მაგალითად, სამეცნიერო წერა, კვლევის მეთოდოლოგია, მცირე კვლევითი პროექტები, რომლებიც ნაშრომზე მუშაობისთვის მოამზადებს სტუდენტს).
- ასევე რეკომენდებულია, რომ უფრო მკაფიო გახდეს პროგრამის საინჟინრო მახასიათებელი.
- უაღრესად რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული: მისაღები გამოცდა მკაფიოდ უნდა განისაზღვროს (მაგ.; კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ხანგრძლივობა, გამოცდის მიზნები), ასევე, უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს მისაღები სტუდენტის წარსული განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის საჭიროებებს.
- სასწავლო გეგმაში შევიდეს სტაჟირება.
- სასწავლო გეგმაში შევიდეს სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი დაცვა.

- დაკონკრეტდეს მოთხოვნები არჩევითი საგნების ასარჩევად.
- მკაფიო გახდეს პროგრამის ორიენტირი (ყურადღება გამახვილდეს ან ტრანსპორტსა და სასაწყობე მეურნეობაზე და შესაბამისად დაერქვას პროგრამას სახელი ან შენარჩუნდეს ტერმინი „ციფრული ლოგისტიკა“ და მოიცვას სხვა თემები (ოპერაციები, დაგეგმარება, მონიტორინგი....).
- სასწავლო გეგმაში დაემატოს კვლევაზე ორიენტირებული კურსები (მაგალითად, სამეცნიერო წერა, კვლევის მეთოდები, კვლევითი პროექტები).
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - შეიცვალოს თითოეული კურსი 5 კრედიტიანი სისტემით.
 - მოძიებულ იქნეს ახალი ყოვლისმომცველი ფორმულა პროგრამისთვის, რაც შეესაბამება პროგრამას ან გამოტოვებულ იქნეს ძველი, რადგან იგი დამაბნეველია.
 - გადაიხედოს არჩევითი საგნების სია და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა კონცენტრირება მოახდინონ ლოგისტიკის კონკრეტულ სფეროებზე.
 - მართალია, სასწავლო პერსონალი გამოცდილია და კვალიფიციური, თუმცა 11 ადამიანი ძალიან მცირე ბაზაა აღნიშნული პროგრამისთვის. დისკუსიის დროს, პროგრამაზე პასუხისმგებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ მათ გამიზნული აქვთ „მასწავლებლის გადამზადების“ პროგრამის განხორციელება, რათა ქართველი ექსპერტები კვალიფიციურნი გახდნენ პროგრამის სწავლებისთვის. მდგრადი სამაგისტრო პროგრამის შემუშავების მიზნით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამას.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
 - აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ასწავლიან PTV VISSUM პროგრამას, რომელიც ფართოდ გამოიყენება ევროპაში.
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ ეხება

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

- პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. ისინი ასევე ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა შემუშავდა იმიტომ, რომ საქართველოს ეკონომიკას აკლია ამ სფეროში კვალიფიციური კადრები. ამ შთაბეჭდილებას იზიარებს ექსპერტთა ჯგუფი და პროგრამაში ჩართული პარტნიორი ინდუსტრიიდან.

წარმოდგენილი პროგრამა შედგება 4 სემესტრისა და 120 კრედიტისგან, რომელსაც მოჰყვება სამაგისტრო ნაშრომი და ამ ნაშრომის ზეპირი დაცვა. პროგრამა მოიცავს ლოგისტიკის თემების ფართო სპექტრს და მკაფიოდ ამახვილებს ყურადღებას ტრანსპორტირებაზე. შეინიშნება ინდუსტრიული ლოგისტიკის საკითხების ერთგვარი ნაკლებობა. ამაზე ვრცლად, თავში 2.2. პროგრამა არის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს გერმანიის TH Wildau და კავკასიის უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო). იგი შემუშავებულია გერმანიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის კონცეფციის საფუძველზე. ასეთი სკოლები ცნობილია, რომ ეფუძნება მეცნიერებას, თუმცა ორიენტირებულია პრაქტიკაში გამოყენების სწავლებაზე. ამ მიდგომის შედეგად, სასწავლო გეგმა არ შეიცავს სამეცნიერო წერისა თუ კვლევის მეთოდების კურსებს.

ეს, თავისთავად, არ ემთხვევა ქართულ საუნივერსიტეტო სწავლებას, რადგან ქართული მიდგომა, როგორც ეს დისკუსიის დროსაც აღინიშნა, უფრო მეტად ორიენტირებულია კვლევაზე ორიენტირებულ სწავლებაზე. შესაბამისად, ზემოთხსენებული კურსების მსგავსი კურსები, პროგრამაში არ გვხვდება.

გარდა ამისა, ნათქვამია, რომ პროგრამა არის საინჟინრო პროგრამა, რომელსაც შედეგად მოჰყვება ინჟინერის ხარისხი. მიუხედავად ამისა, კურსების სია, მკაფიოდ არ ასახავს პროგრამის მიერ ინჟინერიაზე ყურადღების გამახვილებას. მაგალითად, გერმანიაში „Wirtschaftsingenieurwesen“-ის ხარისხი, რომელიც მსგავსია განსახილველი პროგრამისა,

მოითხოვს რომ კურსების 50% იყოს მათემატიკის, კომპიუტერულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ან ტექნოლოგიის მიმართულებით (იხ. Wirtschaftsingenieurwesen-ის გერმანული ასოციაცია, MINT კურსები).

თუმცა, ციფრული ლოგისტიკის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ინჟინერიის მიმართულება, ძირითადად კომპიუტერულ მეცნიერებათა კურსებს ეფუძნება. მას აკლია კურსები ოპერაციულ კვლევებსა თუ სხვა მათემატიკაზე დაფუძნებულ ოპტიმიზაციის ტექნიკებში, რომელიც იდეალურად მოერგებოდა კვლევაზე დაფუძნებულ მიდგომას. გარდა ამისა, არასაკმარისადაა გამახვილებული ყურადღება ტექნოლოგიურ ასპექტებზე. ზოგადად, კურსების სახელწოდებები გარკვეულწილად ბუნდოვანია (მაგ.: ციფრული სასაწყობე მეურნეობის მენეჯმენტი, ციფრული რისკებისა და ცვლილების მენეჯმენტი, გლობალური ლოგისტიკა IT სისტემების გამოყენებით.....). ბევრი კურსი შესაძლოა შეიცავდეს საინჟინრო შინაარსს, თუმცა ეს მკაფიოდ არ ჩანს. შესაბამისად, რეკომენდებულია რომ მკაფიოდ გამოხატოთ პროგრამის საინჟინრო მიმართულების მახასიათებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამა შემუშავებულია გერმანიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტილში, რომელიც პრაქტიკაში გამოყენებაზეა ორიენტირებული. თუმცა, ქართული სტანდარტები კვლევაზე ორიენტირებას მოითხოვს. აუცილებელია, რომ ეს ხარვეზი სათანადოდ შეივსოს კვლევაზე ორიენტირებული კურსების დამატებით (მაგალითად, სამეცნიერო წერა, კვლევის მეთოდოლოგია, მცირე კვლევითი პროექტები, რომლებიც ნაშრომზე მუშაობისთვის მოამზადებს სტუდენტს).
- ასევე, რეკომენდებულია, რომ უფრო კაფიო გახდეს პროგრამის საინჟინრო მიმართულების მახასიათებელი, კურსების შინაარსში ინჟინერიაზე მეტი ყურადღების გამახვილებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- არ ეხება

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გრძნობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ფოკუსირდება ყოვლისმომცველ ცოდნაზე, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობის გრძნობასა და ავტონომიურობაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის შინაარსით. კვლევის საფუძვლებსა და საინჟინრო უნარებთან დაკავშირებული ხარვეზები უკვე აღინიშნა.

თუმცა, ზოგადად, რეალისტური ჩანს, რომ პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა მიაღწიონ აღწერილ სწავლის შედეგებს, იმ პირობით, რომ მათ პირველი ხარისხი უკვე მოპოვებული აქვთ ინჟინერიასა ან ბიზნესში და/ან მათ წარსულში, სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარებამდე, საკმარისი პროფესიული გამოცდილება აქვთ დაგროვილი ლოგისტიკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არ ეხება
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არ არის მითითებული
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არ არის მითითებული
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია პროგრამაზე დაშვების სათანადო, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტმა და ვილდაუს უნივერსიტეტმა გააფორმეს ხელშეკრულება ერთობლივ პროგრამაზე, რომლის მესამე დანაყოფის A ბლოკი ითვალისწინებს, რომ კავკასიის უნივერსიტეტში პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა და რეგისტრაცია მოხდება საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. საქართველოს მოქალაქე ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა პირი ჩარიცხება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების სხვა წინაპირობები აღწერილია შემდეგნაირად:

- ნებისმიერი პირი, რომელიც ფლობს ბაკალავრის ხარისხს.
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება, რომელსაც ატარებს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
- მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარება ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სპეციალობაში (მოიცავს ინგლისური ენის გაგებისა და წერის უნარებს B2 დონეზე, ზოგად ლოგიკურ და რაოდენობრივი მსჯელობის შეკითხვების კომპონენტებს; პირი შესაძლოა გათავისუფლდეს ამ პირობისგან, თუკი იგი ფლობს ენის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს (IELTS-6.0, TOEFL-78-ს ან სხვა საერთაშორისო სერტიფიკატს. რომელიც მოწმობს ენის B2 დონეზე ცოდნას, ან ნებისმიერი სხვა გარემოების გამო, რომელსაც აწესებს უნივერსიტეტი).
- წარმატებით გაივლის გასაუბრებას კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე მიმღებ კომისიასთან.
- პროგრამაზე მობილობა დაშვებულია შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ კითხვები ზემოთხსენებულ წინაპირობებთან დაკავშირებით. ბუნდოვანია, თუ რას ნიშნავს მისაღები გამოცდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სპეციალობაში, განსაკუთრებით კი მაშინ, თუკი ნებისმიერ პირს, რომელიც ფლობს ნებისმიერ ბაკალავრის ხარისხს, შეუძლია პროგრამაზე განაცხადის შეტანა. როდესაც, კურიკულუმი უმეტესად მოიცავს ტექნიკურ კურსებს, უკიდურესად

მნიშვნელოვანია, რომ მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რა ცოდნას უნდა ფლობდეს აპლიკანტი გასაუბრებაზე, იმისათვის რომ მიაღწიოს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. როგორც პროგრამის კოორდინატორმა განმარტა გასაუბრებისას, პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა გასაუბრება უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე მიმდებ კომისიასთან. შესაბამისად, აპლიკანტები გასაუბრებისას გაიცხრილებიან მათი წარსული ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით. კომისია გადაწყვეტს, აქვთ თუ არა მათ შესაძლებლობა რომ დაძლიონ პროგრამა და მიაღწიონ სწავლის შედეგებს. დაბოლოს, ისიც აღინიშნა, რომ პროგრამა უმეტესად იმ აპლიკანტებს მიესადაგება, რომელთაც სპეციალური ცოდნა აქვთ კონკრეტულ დარგებში. აკრედიტაციის სტანდარტი მოითხოვს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებდეს პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე სტუდენტების მიღებას, რომლებიც დაეუფლებიან პროგრამას; გარდა ამისა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ მკაფიოდ განისაზღვროს წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში წინაპირობები. კერძოდ, მითითებული უნდა იყოს, თუ რას ნიშნავს „მისაღები გამოცდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სპეციალობაში“ და უმჯობესი იქნება, თუკი დაკონკრეტდება ის განათლება და პროფესიული გამოცდილება, რომელიც აპლიკანტს უნდა ჰქონდეს პროგრამაზე მოსახვედრად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- უაღრესად რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული: მისაღები გამოცდა მკაფიოდ უნდა განისაზღვროს (მაგ.; კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ხანგრძლივობა, გამოცდის მიზნები), ასევე, უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს მისაღები სტუდენტის წარსული განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის საჭიროებებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ანგარიშის ავტორები პროგრამის სტრუქტურას აღწერენ შემდეგნაირად: „პირველი სემესტრი - ინჟინერიის კურსები, მეორე სემესტრი - კურსები ზოგად მენეჯმენტში, მესამე სემესტრი - IT და მენეჯმენტის კურსები“. სამწუხაროდ, ეს მოკლე და ყოვლისმომცველი ფორულა არ ემთხვევა კურსების ჩამონათვალს (მაგ: პირველი სემესტრი: ფინანსური მენეჯმენტი, ლიდერობა; მეორე სემესტრი: მოძრაობისა და ტრანსპორტის დაგეგმვა, საგზაო სარკინიგზო საჰაერო საზღვაო გადაზიდვა, გლობალური ლოგისტიკა); უაღრესად რეკომენდებულია, რომ კურსები შედგეს პროგრამაში აღწერილი სტრუქტურის შესაბამისად ან მოხდეს სტრუქტურის ადაპტირება პროგრამასთან.

უფრო მეტიც, პროგრამის ავტორები წარადგენენ არჩევითი საგნების სიას, რაც არსებითი ნაწილია პროგრამის. მოცემულია 6 არჩევითი საგანი. ორი პირველი სემესტრისთვის და ოთხი მეორე სემესტრისთვის. თუმცა, გაუგებარია, რომელი კურსები უნდა გაიარონ სტუდენტებმა საიმისოდ, რომ შეასრულონ პროგრამის დასრულებისთვის საჭირო მოთხოვნები. გარდა ამისა, გაუგებარია, როგორ ეხმარება არჩევითი საგნები სავალდებულო კურსებს. T”.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პროგრამას აკლია კვლევაზე ორიენტირებული კურსები, რათა დააკმაყოფილოს ქართული მოთხოვნები, რომლებიც ეხება პროგრამის კვლევაზე ორიენტირებას. მაგალითად, უნდა დაემატოს კურსები სამეცნიერო წერაში, კვლევის მეთოდებში, სტატისტიკასა თუ ოპერაციულ კვლევებში.

გარდა ამისა, კარგი იქნება და რეკომენდებულია კურსები ოპერაციების მართვაში, მიწოდების ჯაჭვის დაგეგმარებასა და მონიტორინგში, რაც შეკრავდა პროგრამას და ტრანსპორტირებიდან ყურადღებას გადაიტანდა ზოგადად ლოგისტიკაზე.

უფრო მეტიც, განხილული სტაჟირება, რომელიც შესაძლოა პროგრამის ნაწილი იყოს, უნდა დაემატოს პროგრამის აღწერილობას. იგივე ეხება ნაშრომის ზეპირ დაცვას, რაც ანგარიშში ასევე არ იყო მითითებული.

დაბოლოს, ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვერ ხედავენ ვერანაირ მიზეზს იმისა, თუ რატომ აქვს პროგრამაზე არსებულ ყველა კურსს 6 კრედიტიანი დატვირთვა. უფრო გავრცელებული ვარიანტი იქნებოდა 5 კრედიტიან კურსებზე შეჯგურება. ეს ასევე შექმნიდა დამატებითი კურსების შეთავაზების შესაძლებლობას პროგრამაზე (მაგალითად, იმ კურსების, რომლებიც ზემოთ დასახელდა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სასწავლო გეგმაში შევიდეს სტაჟირება.
- სასწავლო გეგმაში შევიდეს სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი დაცვა.
- დაკონკრეტდეს მოთხოვნები არჩევითი საგნების ასარჩევად.
- მკაფიო გახდეს პროგრამის ორიენტირი (ყურადღება გამახვილდეს ან ტრანსპორტსა და სასაწყობო მეურნეობაზე და შესაბამისად დაერქვას პროგრამას სახელი ან შენარჩუნდეს ტერმინი „ციფრული ლოგისტიკა“ და მოიცვას სხვა თემები (ოპერაციები, დაგეგმარება, მონიტორინგი...)).
- სასწავლო გეგმაში დაემატოს კვლევაზე ორიენტირებული კურსები (მაგალითად, სამეცნიერო წერა, კვლევის მეთოდები, კვლევითი პროექტები).

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- შეიცვალოს თითოეული კურსი 5 კრედიტიანი სისტემით.
- მოძიებულ იქნეს ახალი ყოვლისმომცველი ფორმულა პროგრამისთვის, რაც შეესაბამება პროგრამას ან გამოტოვებულ იქნეს ძველი, რადგან იგი დამაბნეველია.

<ul style="list-style-type: none"> ○ გადაიხედოს არჩევითი საგნების სია და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა კონცენტრირება მოახდინონ ლოგისტიკის კონკრეტულ სფეროებზე.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არ ეხება
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არ ეხება

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

<p>2.3 სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. უფრო მეტიც, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო პროგრამა ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტში, თეორიულად მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით საგნებს. სავალდებულო საგნები შეადგენს 72 კრედიტს. აქედან სამაგისტრო ნაშრომის მომზადება არის 30 კრედიტი. არჩევითი კურსები კი - 18 კრედიტს შეადგენს.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს პროგრამის კურსების სილაბუსების კომპონენტები. კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურსებს შორის კავშირი</p>

<p>მოცემულია კურიკულუმის რუკაში. სწავლის შედეგებსა და კურსებს შორის კავშირი ლოგიკურად არის განსაზღვრული. პროგრამის კურსების კრედიტები ოპტიმალურად არის განაწილებული და შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ასახავს დარგის ძირითად მიღწევებს და შეესაბამება კურსის შინაარსს. პროგრამის კურსები იძლევა როგორც თეორიული ცოდნის ტრანსფერს, ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რამდენადაც თითქმის ყველა კურსი მოიცავს შემთხვევების შესწავლასა და ბიზნეს პროექტების მომზადებას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არ არის მითითებული
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არ არის მითითებული
<p>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არ ეხება
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არ ეხება
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>➤ სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო კურსებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. კურსების ნაწილი მოიცავს პრაქტიკულ გადამზადებას.</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, ასევე დარგობრივი სასწავლო კურსების პრაქტიკული დავალებების განხორციელებისას, სტუდენტს აქვს დამატებითი შესაძლებლობა იმუშაოს სხვადასხვა ინდივიდუალურ ან გუნდურ პროექტებზე, მიიღოს ამისათვის მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური მხარდაჭერა. <p>ასევე, სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის დაწერა, რაც სტუდენტს აძლევს დამატებით შესაძლებლობას, იმუშაოს ინდივიდუალურ და გუნდურ პროექტებზე, მიიღოს ამისათვის მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური მხარდაჭერა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კავკასიის უნივერსიტეტის დებულება; ○ ტექნოლოგიების სკოლის წესდება; ○ პროგრამა; ○ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p>

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.5 სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების ამ საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი წარმოაჩენს რომ სწავლების სათანადო მეთოდები შერჩეულია სასწავლო კურსის სპეციფიკაზე დაყრდნობით. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში, აკადემიური პერსონალი იყენებს სწავლა-სწავლების ჩამოთვლილ მეთოდებს: ზეპირი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერილობითი ნაშრომის მეთოდი, დემონსტრაციული მეთოდი, დისკუსიის/დებატების მეთოდი, შემთხვევის შესწავლის მეთოდი, ახსნის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიშის მეთოდი, დედუქციური სწავლების მეთოდი, ანალიზი და სინთეზის მეთოდი. ამ კურსების ფარგლებში, ძირითადად გამოიყენება ისეთი აქტივობები, როგორებიცაა შემთხვევის შესწავლა და პროექტის მომზადება.

მაგალითად, ჩამოთვლილ კურსებში: „გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემა, ფინანსური მენეჯმენტი, ინტერმოდალური ტრანსპორტი და ტერმინალის მართვა, მოძრაობის შეფასება და ეკოლოგიური გავლენები, მოძრაობისა და ტრანსპორტირების დაგეგმვის სისტემები, საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო გადაზიდვა, გაფართოებული ლოგისტიკური ქსელის ოპერაციები, ბიზნესის ანალიტიკა და ციფრული ტრანსფორმაცია“- უმეტესად გამოიყენება ჩამოთვლილი სწავლების მეთოდები: სიტყვიერი ან ზეპირი მეთოდები; წიგნებზე მუშაობა. დისკუსიები/დებატები, შემთხვევის შესწავლა - ბიზნეს თამაში,

კალკულაციები და Excel Solver, პლენარული დისკუსიები, თვითსწავლა, წიგნებზე მუშაობა. გამოთვლები, დამოუკიდებელი მუშაობა. საწარმოს რესურსების დაგეგმვის სისტემებში (ERP), პროექტის მენეჯმენტში, სტრატეგიული მენეჯმენტის კურსებში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: წიგნებზე მუშაობა. პრაქტიკული მეთოდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL), თანამშრომლობით სწავლა, შემთხვევის სწავლა, სიტყვიერი ან ზეპირი მეთოდები, წიგნებზე მუშაობა, წერა, პრაქტიკული მეთოდები, დისკუსიები/დებატები, გუნდური მუშაობა, გონებრივი იერიში, დემონსტრაციის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, განმარტების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება.

თითოეული კურსის სილაბუსში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუების შედეგები;
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არასაკვალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.6 სტუდენტების შეფასება

- სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოცემულია პროგრამის აღწერის დოკუმენტში, მორგებულია თითოეულ კურსზე და განმარტებულია ამომწურავად და დეტალურად შესაბამის სილაბუსში.

სტუდენტების ცოდნა ფასდება 100 ბალიანი სისტემით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) ვერ ჩააბარა გამოცდა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს სჭირდება მეტი მუშაობა გამოცდის ჩაბარებამდე და ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, დამოუკიდებელი მეცადინეობის საფუძველზე.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 და ნაკლები ქულა, ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

აკადემიური კურსის შეფასების 100 ბალიანი სისტემა შედგება ორი კომპონენტისგან: შუალედური შეფასება (მაქსიმუმ 70 ქულა) და დასკვნითი გამოცდა (მაქსიმუმ 30 ქულა). შუალედური შეფასების ფორმები არის მიმდინარე აქტივობები და შუალედური გამოცდა. შუალედური გამოცდის მაქსიმალური ქულები და მიმდინარე აქტივობების ქულების განაწილება დეტალურად აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სტუდენტებს შეუძლიათ ცოდნის შეფასების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მიიღონ საგანმანათლებლო

პროგრამიდან, სილაბუსიდან, კონკრეტული საგნის ლექტორისგან ან პროგრამის ხელმძღვანელისგან.

უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი პასუხისმგებელია წერილობითი გამოცდების ორგანიზებასა და ჩატარებაზე. გამოცდების შედეგები ქვეყნდება ოფიციალური სტუდენტთა საინფორმაციო სისტემით <https://programs.cu.edu.ge/cu/login> (SIS) და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

სტუდენტებთან გასაუბრებამ ნათელი გახადა, რომ შეფასების კრიტერიუმები არის გამჭვირვალე და გასაგები, ეს კრიტერიუმები სტუდენტებს განემარტებათ და წარედგინებათ თითოეული კურსის პირველ სასწავლო კვირაში. ეს უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით და მათ აძლევს შესაძლებლობას, რომ გამოასწორონ ხარვეზები და გააუმჯობესონ სწავლის შედეგები.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ ქულები, გამოთქვან საკუთარი აზრი კონკრეტულ საგანთან, სილაბუსთან დაკავშირებით ან დააფიქსირონ ნებისმიერი სხვა იდეა. პროცედურები არის მარტივი, ხელმისაწვდომი და გასაგები. პედაგოგები უზრუნველყოფენ სტუდენტებთან უკუკავშირს თითოეული დავალების შემდეგ, თითოეული კურსის სასწავლო კვირის შემდეგ. ეს უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით და მათ აძლევს შესაძლებლობას, რომ გამოასწორონ ხარვეზები და გააუმჯობესონ სწავლის შედეგები.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ ქულები, გამოთქვან საკუთარი აზრი კონკრეტულ საგანთან, სილაბუსთან დაკავშირებით ან დააფიქსირონ ნებისმიერი სხვა იდეა. პედაგოგები უზრუნველყოფენ სტუდენტებთან უკუკავშირს თითოეული დავალების შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- <https://programs.cu.edu.ge/cu/login>
- გასაუბრებები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და თვითშეფასების გუნდთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება		X		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი ახორციელებს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას აღნიშნული სერვისების შესახებ, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები

- სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

კავკასიის უნივერსიტეტის/ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტუდენტები ეცნობიან შეფასების სისტემებს და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობებს. სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა კარგად არის სტრუქტურირებული. სიახლეები მიწოდებულია ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტისა და ორი უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდების საშუალებით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ინფორმირებულნი იყვნენ უახლესი ამბების შესახებ.

სტუდენტთა „ომბუდსმენის ოფისი“ შეიქმნა უნივერსიტეტში საქართველოს კანონმდებლობის უმაღლესი განათლების, სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების დაცვის, სტუდენტის სტატუსისა და მობილობის საკითხებზე კონსულტაციისა და დახმარების მიზნით.

სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომლის დროსაც ისინი ეცნობიან უნივერსიტეტის შესახებ ძირითად ინფორმაციას. გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეხვედრაზე მიიღეს ინფორმაცია საორგანიზაციო საკითხებზე.

სტუდენტები იღებენ ეფექტურ დახმარებას სამუშაოს ძიების პროცესში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტისგან მიიღეს შეთავაზება არაერთ ვაკანსიაზე, ასევე მასწავლებლების პერსონალური დახმარება.

უნივერსიტეტში არის კოორდინატორი პერსონალი, რომელიც ეხმარება სტუდენტს ორგანიზაციული საკითხების გადაჭრაში. ეს საკითხი მნიშვნელოვანია საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის, რადგან საწყისი ადაპტაცია მოსახერხებელია უცხოელი სტუდენტისთვის.

უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული საინფორმაციო სისტემები (<https://cu.edu.ge/>), ყველა სტუდენტი რეგისტრირებულია ამ სისტემაში. ელექტრონული სასწავლო მასალები ატვირთულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე (<https://opac.cu.edu.ge/>).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და თვითშეფასების გუნდთან;

<ul style="list-style-type: none"> ○ https://www.cu.edu.ge/en
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასაკვალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტის/ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტუდენტი ირჩევს სამაგისტრო სამუშაოს თემას ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. თემის სათაური, ლიდერი და ექსპერტი მტკიცდება საბჭოს ყოველ სხდომაზე მაგისტრატურის თითოეული სტუდენტისთვის. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი (ქართველი და გერმანელი) ან დოქტორის</p>

<p>ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის სფეროში. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევა ხდება სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის შეთანხმებით.</p> <p>ხელმძღვანელთან ფორმდება ხელშეკრულება.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტი მუდმივ კონტაქტშია ხელმძღვანელთან, ახორციელებს კვლევებს და დავალებებს მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით. სტუდენტი ეტაპობრივად წარადგენს კვლევის შედეგებს დადგენილი წესით. თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი მონაწილე პედაგოგიური პერსონალიდან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კვლევითი გამოცდილება კვლევის თემაზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრებები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და თვითშეფასების გუნდთან; ○ სამაგისტრო ხელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, მის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დაგეგმილი მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და მათზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას. ➤ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შესამუშავებლად. ➤ პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის სფეროში. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ძირითადად შეესაბამება სტუდენტების რაოდენობას;</p>

პროგრამის მუდმივ პედაგოგიურ პერსონალს აქვს სწავლების დიდი გამოცდილება. პროფესორებს აქვთ თავიანთი ქვეყნების უნივერსიტეტებში მიღებული დოქტორის ხარისხი. ისინი შეძლებენ პროგრამის მაგისტრატურის სტუდენტების ხელმძღვანელობას. მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლების კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციებით, რომლებიც აუცილებელია სტუდენტების დასახმარებლად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

მონაწილეები ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში, მონაწილეობენ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

აღნიშნულ აკადემიურ პერსონალს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება, პუბლიკაციები, მიმდინარე კვლევითი ინტერესები, რაც განაპირობებს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მაგალითად, გერმანელმა პროფესორებმა, სანამ პროფესორად დაინიშნებოდნენ, უნდა დაამტკიცონ, რომ აქვთ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება დარგში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კითხვარი აკადემიური პერსონალისთვის;
- საერთაშორისო მობილობის სტატისტიკა;
- მემორანდუმები, ხელშეკრულებები;
- კვლევის მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები;
- მონაწილეობა ორწლიან Erasmus +-ის დაფინანსებულ პროექტში „საქართველოს უსდ-ების კვლევის შესაძლებლობების ამაღლება R&D Units/HERD-ის განვითარების გზით“;
- კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა (2018 წ.);
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების ფარგლებში გამართული შეხვედრების/ღონისძიებების შესახებ: <https://www.cu.edu.ge/ka/news-page>.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- მართალია, სასწავლო პერსონალი გამოცდილი და კვალიფიციურია, თუმცა 11 ადამიანი ძალიან მცირე ბაზაა აღნიშნული პროგრამისთვის. დისკუსიის დროს, პროგრამაზე პასუხისმგებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ მათ გამიზნული აქვთ

„მასწავლებლის გადამზადების“ პროგრამის განხორციელება, რათა ქართველი ექსპერტები კვალიფიციური გახდნენ პროგრამის სწავლებისთვის. მდგრადი სამაგისტრო პროგრამის შემუშავების მიზნით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უფრო მეტიც, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტს აქვს კვლევის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის მექანიზმი. ეს მექანიზმი გამოიყენება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ყოველწლიური შეფასებისთვის. კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ატარებს სტუდენტების სემესტრულ გამოკითხვებს, სადაც ისინი აფასებენ ლექტორებს. პროგრამის აკადემიური მენეჯერი ანალიზებს მიღებულ შედეგებს და შემდეგ მთლიან შედეგებს უზიარებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.

გამოკითხვის ფორმები წარმოდგენილია უნივერსიტეტის მიერ. ამ ფორმების და ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაოს შეფასების და კმაყოფილების ანგარიშის მეშვეობით იქნა მიღებული 2019 და 2020 წლების გამოკითხვების შედეგები. ეს ანგარიშები აფასებს აკადემიური პერსონალის როგორც სასწავლო, ასევე კვლევით საქმიანობას. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს კვლევის შედეგებს პროფესიული განვითარებისთვის. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს, პერსონალის შერჩევასა და დანიშვნის პროცედურებს, ეტაპებს, მუშაობის შეფასების კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების დაქირავებას და შენარჩუნებას აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე; მოტივაციის გაზრდას, სამუშაო პირობების გაუმჯობესების სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

არსებობს შიდა დაფინანსების წესი კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური და კვლევითი პერსონალის, ასევე დოქტორანტებისა და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად. ამ წესის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების კონკურსი ცხადდება წელიწადში ორჯერ. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულება დაინტერესებულ პირებს ამლევს წვდომას ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე. უნივერსიტეტი ატარებს ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტურ კონფერენციას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საკონფერენციო ნაშრომების კრებულის გამოქვეყნებას.

დაწესებულება მუდმივად აწვდის ინფორმაციას აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს საგრანტო დაფინანსების მოპოვების შესახებ და ატარებს ტრენინგებს საგრანტო პროექტების მომზადებისთვის. ის ასევე ხელს უწყობს პერსონალს ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების განხორციელებაში, ასევე მათ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა;
- პერსონალის შეფასების, აგრეთვე პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- მემორანდუმი საერთაშორისო თანამშრომლობაზე;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.cu.edu.ge/ka>

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
<ul style="list-style-type: none"> ○ რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არ არის მითითებული
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

<p>4.3 მატერიალური რესურსები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს და ინარჩუნებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის.</p> <p>გარდა ამისა, ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი არის აღიარებული სახელმწიფო დაწესებულება, რომელსაც აქვს საკმარისი გამოცდილება სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში.</p> <p>ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგი ლაბორატორიული შესაძლებლობები, განსაკუთრებით ლოგისტიკის სფეროში.</p>

თითოეულ კურსში გამოყენებული ლიტერატურა შემთხვევით შემოწმდა ბიბლიოთეკის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და გამოვლინდა, რომ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იყო სასწავლო მასალებით. ბიბლიოთეკაში განთავსებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევას; გარდა ამისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებით, რაც მათ საშუალებას აძლევს გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს შესაბამის სფეროში. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით: EBSCO, ScienceDirect, Scopus, Scival Funding (Funding Institutional), HeinOnline, Taylor and Francis, Math Scientific Publishing (MSP)-Journals.

დაწესებულების მიერ წარდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 63 აუდიტორია, ფოიეები (170 კვ.მ-მდე), საკონფერენციო დარბაზი, რეკრეაციული სივრცეები, ადმინისტრაციული ფართები და საწყობები, ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი სივრცე, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივები, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). კავკასიის ბიზნეს სკოლას დამატებით აქვს ოთხი ოთახი „სტარტაპ აქსელერატორებისთვის“, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით: VR ტექნოლოგიით, სამონტაჟო აღჭურვილობით, „სმარტ დაფით“ და სხვა. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპიუტერი და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიკოსებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით (მულტიმედიური პროექტორით, კომპიუტერით, აუდიო-ვიდეო აპარატურით და ა.შ.). დაწესებულებაში არსებობს კომპიუტერული ლაბორატორია და აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, დაკავშირებულია ინტერნეტთან და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული ოთახები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით. აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების ონლაინ მიმოხილვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკა, ფიზიკური და ტექნიკური რესურსები;
- საერთაშორისო ბიბლიოთეკებთან და აკადემიურ მონაცემთა ბაზებთან წვდომა;
- ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი.

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> ○ არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: <ul style="list-style-type: none"> ○ არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში <ul style="list-style-type: none"> ○ არ ეხება
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტთა სწავლის საფასურიდან მიღებულ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია სათანადო ფუნქციონირებისთვის. პროგრამის მიხედვით, ფინანსური გამოთვლები ეფუძნება შემდეგ მონაცემებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლებისა და პრაქტიკული მეცადინეობისთვის აუცილებელი საკონტაქტო საათები; • აკადემიური კურსების რაოდენობა (სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი); • სალექციო საათების ანაზღაურება; • სწავლის პერიოდში სტუდენტის მატერიალური მხარდაჭერა; • უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯები; • პროგრამის შემუშავების, აკრედიტაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხარჯები; • პროგრამის პერიოდში დაშვებული სხვადასხვა ხარჯი;

<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო დონის პროფესიული ლიტერატურა და აკადემიური ბაზები; • სტუდენტებისთვის შექმნილი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო; • უცხოელი პარტნიორები და გაცვლითი პროგრამები; • უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობა, რაც იძლევა პროგრამების შემუშავების შესაძლებლობას; • კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა; • აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კავშირები; <p>ასევე, პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც მიზნად ისახავს დაფაროს პროგრამის გამართული ფუნქციონირების ყველა ხარჯი, სტუდენტების მინიმალური რაოდენობის შემთხვევაში.</p> <p>პროგრამაში შეტანილი ცვლილებების პარალელურად შესაძლებელია შეიცვალოს პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტს ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი ბრძანებით, რომელსაც თან ახლავს პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშების დანართი. აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების ონლაინ მიმოხილვით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2020 წლის 3 დეკემბრის 303/01-06 ბრძანება პროგრამის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ასწავლიან PTV VISSUM პროგრამას, რომელიც ფართოდ გამოიყენება ევროპაში.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p>

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

<p>5.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა</p> <p>➤ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტმა მიიღო შიდა დებულება „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მათი ეფექტურობის შეფასების შესახებ“. ეს აქტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას, რომელიც „ეყრდნობა უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს, რაც ითვალისწინებს უწყვეტ შეფასებას და გადაწყვეტილებების მიღებას შეფასების შედეგების საფუძველზე“. აქტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებს, მექანიზმებს და ამ მექანიზმების გამოყენების წესებს. ხარისხის უზრუნველყოფის</p>

მიზნებისათვის, სწავლების, სწავლის, კვლევისა და მართვის/მენეჯმენტის პროცესები პერიოდული შიდა შეფასების საგანია. ამასთან, შეფასების საგანია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობაც. თითოეული მითითებული პროცესისთვის განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები. აღნიშნული აქტი ცალკე ითვალისწინებს ელექტრონული სწავლების მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ეყრდნობა PDCA ციკლის პრინციპებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის პერსონალის მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის, განხორციელებისა და შემუშავების პროცესში. კვლევისა და შეფასების შედეგების მართვა ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის, ისინი გაანალიზებულია და გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის. სპეციალური კითხვარები შემუშავებულია შეფასების პროცესებისთვის, რომელსაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი.

პროგრამის თანამშრომლები და სტუდენტები პერიოდულად აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამებს, პროგრამის პერსონალსა და სამუშაო პროცესს უნივერსიტეტში. გამოკითხვისა და შეფასების შედეგებს აგროვებს და აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ხოლო საბოლოო შედეგები წარედგინება მენეჯმენტის შესაბამის პირებს. საჭიროების შემთხვევაში, ამ შედეგების საფუძველზე მიიღება საჭირო გადაწყვეტილებები. უნივერსიტეტს აქვს შინაგანაწესი, რომლის მიხედვითაც ხდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შედგენა, განხორციელება და შემუშავება. ამგვარად, შესაბამისი პირი ახდენს პროგრამის პროექტის ინიცირებას, შრომის ბაზრის კვლევისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე. უნივერსიტეტმა წარმოადგინა შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკური შრომის ბაზარი მთელი საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და აღინიშნება შესაბამისი სპეციალისტების ნაკლებობა ბოლო წლების განმავლობაში.

რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილებისა და გაუქმების პროცედურები, ასევე განისაზღვრა მექანიზმები პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის შემდგომი მხარდაჭერისთვის. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სპეციალური ელექტრონული პლატფორმა საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის, ცვლილებისა და გაუქმებისთვის. შესაბამისად, პასუხისმგებელი პირების მიერ შესაბამისი პროცედურები იმართება ელექტრონული გზით.

საკრედიტაციო ვიზიტის დროს სხვადასხვა ადამიანებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ პროგრამის ბენეფიციართა შორის ყველა შესაბამისი პირი ჩართული იყო პროგრამის შემუშავებასა და თვითშეფასების ფორმის შედგენის პროცესში, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

პროგრამის პერსონალს მუდმივად წარედგინება სამუშაოს შეფასების შედეგები. ეს შედეგები გამოიყენება იმისთვის, რომ დაიგეგმოს საჭირო აქტივობები პროგრამის კოორდინატორთან,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სხვა შესაბამის ადამიანებთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.

დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგების შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი შინაგანაწესი, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, შესაბამის მექანიზმებს, მოთხოვნებსა და წესებს იმ მექანიზმების გამოყენებისათვის, რომლებიც ქმნის PDCA ციკლზე დაფუძნებულ, ხარისხის უზრუნველყოფის გამჭვირვალე და სრულ სისტემას.

პროგრამის შედგენისა და შემუშავების პროცესი წარიმართა კავკასიის უნივერსიტეტის რეგლამენტის შესაბამისად, მაგრამ პროგრამის ერთობლივად განხორციელებაში ჩართული იყო ვილდაუს უნივერსიტეტის პერსონალიც. მათთან ერთად შემუშავდა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა. ინტერვიუს დროს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამუშაო პროცესის დროს არ ყოფილა კონკრეტული, გადასლახი წინააღმდეგობები კავკასიის უნივერსიტეტის/ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს შორის. ამ ორს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით „სისტემის აკრედიტაცია და პროგრამის აკრედიტაცია არის ორი გზა, რომლითაც სასწავლო პროგრამის განხილვა ამჟამად ხორციელდება აკრედიტაციის პროცედურის შესაბამისად. ორივე გზა მომავალში ღია უნდა დარჩეს. ...სისტემის აკრედიტაციის პროცესი მიზნად ისახავს იმის გარკვევას, შეუძლია თუ არა უნივერსიტეტის ხარისხის მართვის შიდა სისტემას უზრუნველყოს პროგრამის სპეციფიკური მიზნების მიღწევა. ინსტიტუციური ავტონომიის სულისკვეთებით, ეს ფორმატი უნდა იყოს მოქნილი, ერთი მხრივ, სწავლებისა და სწავლის მიდგომებთან და, მეორე მხრივ, ხარისხის მართვასთან მიმართებაში და ბუნებრივია უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის უზრუნველყოფის ზოგად მოთხოვნებს³ მეორე მხრივ, პროგრამის აკრედიტაციის მიზანია გადახედოს საკვალიფიკაციო მიზნებს, შეესაბამება თუ არა ისინი აკადემიური ხარისხის დონეს. პროგრამა არის ორგანიზებული ისე, როგორც ადეკვატურია საკვალიფიკაციო მიზნების მისაღწევად, სასწავლო მოთხოვნები სათანადოა, ხარისხის პროგრამის შედარება შესაძლებელია EHEA-სთან და ა.შ.

როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ვილდაუს უნივერსიტეტი არის სისტემურად აკრედიტებული, რაც „...იძლევა გარე დადასტურებას, რომ ვილდაუს უნივერსიტეტს აქვს სტრუქტურები და პროცესები, რომლებიც შეესაბამება სწავლებასა და სამაგისტრო პროგრამებს, შესაფერისია საკვალიფიკაციო მიზნების მისაღწევად და სამაგისტრო პროგრამების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. ეს აძლევს სტუდენტებს ობიექტურ დადასტურებას, რომ ვილდაუს უნივერსიტეტში სწავლება შეესაბამება საერთაშორისოდ

³ <https://www.hrk.de/resolutions-publications/resolutions/beschluss/detail/reorganisation-of-the-accreditation-system/>

<p>აღიარებულ სტანდარტებს."⁴ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა გახდება უნივერსიტეტის თვითაკრედიტაციის საგანი ერთი წლის შემდეგ.</p> <p>გარდა ამისა, ამ ორ უნივერსიტეტს შორის ხელმოწერილი შეთანხმება ერთობლივ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით განსაზღვრავს, რომ ორივე საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შექმნას გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია სწავლებისა და სწავლის ხარისხის უზრუნველყოფაზე და ზედამხედველობას გაუწევს შესაბამისი მხარის მიერ განხორციელებულ პროგრამის ნაწილს (შეთანხმების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი).</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ შიდა დებულება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მათი ეფექტურობის შეფასების შესახებ“; ○ შინაგანაწესი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების შესახებ“; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვების შედეგები; ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁴ <https://en.th-wildau.de/university/about-us/profile/>

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

- პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხარისხის გარე უზრუნველყოფა არის აკრედიტაციის პროცესი, რომელსაც იყენებს კავკასიის უნივერსიტეტი. ამგვარად, პროგრამის დაგეგმვა და შედგენა შესრულდა მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას და აკრედიტაციის პროცესისთვის პროგრამის მომზადებისას, ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა შეადარეს 5 ევროპული, 1 ამერიკული და 1 ჩინური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამას. შედარებითი ანალიზის შედეგები გათვალისწინებული იყო პროგრამის შემუშავების მიზნებისთვის. შესაბამისი შედარებითი ანალიზი თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს. სამაგისტრო პროგრამა შეფასდა გარე ექსპერტების მიერ, რომელთა შეფასებებიც ასევე წარმოდგენილია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში უნივერსიტეტს აქვს შემდეგი რეგულაცია: პროგრამას გარე შეფასებისთვის უგზავნის ექსპერტებს და საჭიროების შემთხვევაში დროდადრო განსაზღვრავენ სამიზნე ნიშნულების. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ვილდაუს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიც.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კანონმდებლობის მიხედვით, თვითშეფასების ანგარიში წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. როგორც 5.1 ქვე-სტანდარტშია ნათქვამი, ვილდაუს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ვილდაუს უნივერსიტეტი არის სისტემურად აკრედიტებული და ერთი წლის შემდეგ პროგრამა გახდება უნივერსიტეტის მიერ თვითაკრედიტაციის საგანი. შესაბამისად, გონივრული იქნებოდა ამ პროცესის შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი შედეგების

აღწერა თვითშეფასების ანგარიშში, რომელიც წარედგინება ეროვნულ ცენტრს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შიდა დებულება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მათი ეფექტურობის შეფასების შესახებ“;
- შინაგანაწესი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების შესახებ“;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვების შედეგები;
- სამაგისტრო პროგრამის შედარებითი ანალიზი (სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა);
- გარე შეფასება;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

➤ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის შინაგანაწესის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასთან, შედგენასთან, განხორციელებასა და შემუშავებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები. ეს გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის, როგორცაა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართვას მონიტორინგის პროცესში და მათი შეხედულებებისა და მოთხოვნების სისტემატურ კვლევას, კვლევის შედეგების შემუშავებასა და ანალიზს. ეს შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ კურსებს სპეციალური კითხვარებით, მიუთითებენ საკუთარ რეკომენდაციებსა და მოთხოვნებზე, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური პერსონალი აფასებს მთელ პროგრამას. ეს თვითშეფასების ანგარიში ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ანგარიშის ანალიზის შემდეგ შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის (საჭიროების შემთხვევაში).

შესაბამისი წესების მიხედვით, პროგრამის სასწავლო გეგმისა და სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის კვლევა და შესაბამისი შედეგები. გარდა ამისა, დამსაქმებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ისინი თანამშრომლობენ კავკასიის უნივერსიტეტთან, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისინი არ იყვნენ ჩართული პროგრამის შედგენისა და შემუშავების პროცესში. ამიტომ მიზანშეწონილია მათი ჩართვა სასწავლო გეგმის განხილვაში, მათი მოთხოვნებისა და შეხედულებების გათვალისწინება პროგრამის შესახებ, ასევე იმ ცოდნისა და უნარების თაობაზე, რომლებიც სტუდენტებმა უნდა მიიღონ სწავლის დამთავრების შემდეგ.

უნივერსიტეტი ახორციელებს ლექციების მონიტორინგს მათზე დასწრების გზით. მოწმდება, ტარდება თუ არა თითოეული ლექცია დროულად. ყოველი სემესტრის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგები მუშავდება სასწავლო კურსების, ლექტორებისა და სკოლების მიხედვით.

<p>სკოლების მიხედვით განაწილებული მონაცემები განიხილება სკოლის საბჭოში და უნივერსიტეტის მნიშვნელობის საკითხები განიხილება მმართველ საბჭოში. შეფასების შედეგებს იყენებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პროცესის გასაუმჯობესებლად.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებას, ხოლო მისი შესრულება ეკისრება კონკრეტულ ფაკულტეტს, შესაბამისი პერსონალის ჩართულობით.</p> <p>უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა ყოველწლიურ გამოკითხვას, რომლის მეშვეობითაც ისინი აფასებენ უნივერსიტეტში მიღებულ სერვისებს: ბიბლიოთეკის, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა მომსახურებას, ასევე სტუდენტურ ცხოვრებას.</p> <p>როგორც ვილდაუს უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტების შეფასება და მათი შეხედულებები კურსებთან და ლექტორებთან დაკავშირებით და ისინი ყოველთვის ყურადღებით განიხილავენ ამ შეფასების შედეგებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ შიდა დებულება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მათი ეფექტურობის შეფასების შესახებ“; ○ შინაგანაწესი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების შესახებ“; ○ სტუდენტების გამოკითხვის ფორმა და შედეგები; ○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა და შედეგები; ○ დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმა და შედეგები; ○ თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები; ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი (აპლიკანტი მხარე), ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, განათლების საფეხური: ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

რუდიგერ ლოჰმანი, ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

დავით სიხარულიძე, ხელმოწერა

მზევარ გოგილავა, ხელმოწერა

სოფიო უგრეხელიძე, ხელმოწერა

ბაქარ დუაძე, ხელმოწერა